სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

28 ივლისი 2026

N 21/10882

შპს „კავკასინერტი“-ს

მის: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცხემნა

ელფოსტა: kkavkasinerti@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №10226 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემნში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

ა) სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილსა და თანდართულ shp-ფაილში ასახული საპროექტო ტერიტორია მოიცავს ორ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ: 21.03.33.278 და 21.03.33.742). აღნიშნული ტერიტორია არ შეესაბამება სკრინინგის განცხადების 3.1.1.1. ცხრილში მოცემულ საპროექტო მიწის ნაკვეთების კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატებს. შესაბამისად, მითითებული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას. ამასთან 3.1.2.2 ნახაზზე მოცემული ტერიტორია (ს/კ: 21.03.33.278 და 21.03.33.742) მითითებულია როგორც შპს „ბეტეკა ჯორჯია“-ს საწარმო, რაც გაუგებარია და საჭიროებს კორექტირებას.

ბ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „საკვლევი ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყალსატევია მდინარე აჭარისწყალი, რომელიც გაედინება საკვლევი ტერიტორიიდან სამხრეთის მიმართულებით, საკვლევი ტერიტორიის სამხრეთის მხარის საკადასტრო საზღვრიდან მდინარე აჭარისწყლის კალაპოტი დაშორებულია დაახლოებით 95 მეტრზე მეტი მანძილით. უშუალოდ საწარმოს საწარმოო უბნების და საწარმოო დანადგარების განთავსების ტერიტორია მდინარე აჭარისწყლის კალაპოტიდან დაშორებულია 50 მეტრზე მეტი მანძილით. შესაბამისად, პროექტზე მდინარის წყალდაცვითი ზოლის შეზღუდვა, არ ვრცელდება“. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდინარე აჭარისწყალი (წყალდაცვითი ზოლის სიგანე 50 მეტრი), დაშორებულია დაახლოებით 20-30 მეტრით, ხოლო ვინაიდან სკრინინგის განცხადებასა და თანდართულ shp-ფაილში უშუალოდ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს შემადგენელი ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები წარმოდგენილი არ არის, ვერ დგინდება აღნიშნული ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან მდინარე აჭარისწყლის კალაპოტის კიდემდე დაშორების მანძილები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp-ფაილში საპროექტო მიწის ნაკვეთებთან ერთად, ასევე მოცემული უნდა იქნას უშუალოდ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია, საწარმოს შემადგენელი ძირითადი და დამხმარე

ინფრასტრუქტურული ობიექტების დატანით, რის შესაბამისადაც უნდა შეფასდეს საქმიანობის წყალდაცვით ზოლთან თავსებადობის საკითხი.

გ) 3.3.5.1. თავში მითითებული ინფორმაციის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და სახანძრო დანიშნულებით. დოკუმენტში მოცემული არ არის სახანძრო დანიშნულებით საჭირო წყლით საწარმოს მომარაგების წყაროს შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას. რაც შეეხება ზედაპირული წყლის ობიექტიდან ამოსაღებ წყალს, საჭიროა დოკუმენტში მოცემული იქნას მდინარე აჭარისწყლიდან ამოსაღები წყლის რაოდენობრივი განაწილება, თვეების მიხედვით (წლის ჭრილში), აგრეთვე, წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები.

დ) 3.3.5.2. თავში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოო ჩამდინარე წყლები შეიკრიბება სამსექციან (ჯამური მოცულობა 160 $მ^3$) სალექარში, საიდანაც დალექვის შემდგომ, ღია არხის გავლით, ჩაეშვება მდინარე აჭარისწყალში. დოკუმენტში მოცემული არ არის სალექარიდან გამოსული ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები, კერძოდ, ჩამდინარე წყლებში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა (შეწონილი ნაწილაკები) კონცენტრაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს წყალჩაშვების წერტილების GPS კოორდინატები.

ე) 3.3.6. თავში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს. შესაბამისად, დაგეგმილია დამოუკიდებელი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, რომლის ფარგლებშიც საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეგროვდება 18,0 $მ^3$ მოცულობის საასენიზაციო რეზერვუარში. აღნიშნული ჩამდინარე წყლების მართვა განხორციელდება პერიოდულად, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით გატანისა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციისთვის გადაცემის გზით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ჩამდინარე წყლები არ წარმოადგენს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ რეგულირებად ნარჩენს, ვინაიდან მითითებული კოდექსის რეგულირების სფეროს არ განეკუთვნება ჩამდინარე წყლები, წყლის ობიექტების (მათ შორის, შავი ზღვის) ჩამდინარე წყლებით ან/და ნარჩენებით დაბინძურება. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ თავში მოცემული ჩანაწერი ნარჩენის კოდის 16 10 01* („წყლის თხევადი ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს“) გამოყენების შესახებ საჭიროებს კორექტირებას, რომელიც უნდა შეიცვალოს ჩამდინარე წყლების მართვის შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების, სავარაუდო რაოდენობებისა და მართვის ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს საქმიანობიდან წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ თითოეული კოდისათვის.

ვ) 4.1 თავში მოცემული გაფრქვევის წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მონაცემები არ არის დაანგარიშებული სრულყოფილად, მითითებული მეთოდური სახელმძღვანელოს მიხედვით. ასევე, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების მიზნით, მოდელირებისას გამოყენებულ ავტომატიზებულ კომპიუტერულ პროგრამაში, სტაციონარული წყაროების შესახებ მონაცემები შეტანილია არასწორად (კერძოდ, მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული და არაორგანიზებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების X - Y კოორდინატები – მაგალითად ორგანიზებული გაფრქვევის წყაროს კოორდინატებს წარმოადგენს X - Y, ხოლო არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროს კოორდინატებს წარმოადგენს X_1 - Y_1 და X_2 - Y_2). აღნიშნული პარამეტრების არასწორად გამოყენების შემთხვევაში, წარმოდგენილი შედეგები პროპორციულად ასახავს საბოლოო მონაცემების სისწორეს.

ზ) 4.2.2.1. თავში წარმოდგენილია საწარმოს მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშება და დასკვნის სახით მითითებულია, რომ „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დღის საათებისთვის დაშვებულ ხმაურის ნორმასთან მოსალოდნელია 3,374 დბ-ით გადაჭარბება. ამავე თავში მითითებულია, რომ სამშენებლო სამუშაოები (მითუმეტეს ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები) იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები, რომ „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას. რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშებას, აღნიშნულ თავში მითითებულია, რომ ხმაურწარმომქმნელი წყაროების გეომეტრიული ცენტრიდან უახლოესი საცხოვრებელი ზონა დაშორებულია დაახლოებით 140 მეტრით, სადაც სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მიღებული ხმაურის დონე 53,224 დბა-ს შეადგენს. ამავე თავში, 140 მეტრში მდებარე შენობა-ნაგებობასთან დასაშვებ ხმაურის ნორმად მითითებულია 50 დბა. ვინაიდან საწარმოდან 140 მეტრში მდებარე შენობა-ნაგებობა (ს/კ: 21.03.31.028) წარმოადგენს არა საცხოვრებელ სახლს, არამედ სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეწმანის საჯარო სკოლას, ხოლო „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით სასწავლო დაწესებულებებთან და სამკითხველოებთან დადგენილი ხმაურის დასაშვები ნორმა 35 დბა-ს შეადგენს, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურით მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან თავსებადობა საჭიროებს სათანადოდ შესწავლას. რაც შეეხება საწარმოდან დაახლოებით 110 მეტრში მდებარე უახლოეს საცხოვრებელ სახლს (ს/კ: 21.03.31.256), აღნიშნულ სახლთან საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშება და მიღებული შედეგები წარმოდგენილი არ არის.

თ) 4.4.4.1 ცხრილში ზემოქმედებისა და ზემოქმედების წყაროების აღწერაში მითითებულია „ნახშირწყალბადებით/ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების წყარო – მათი დაღვრის შედეგად დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენის ჩადინება, ან მათი უშუალოდ წყლის ობიექტში ჩაღვრა“. აღნიშნული ინფორმაცია გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას.

ი) სკრინინგის განცხადებაში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებები არ ეყრდნობა საპროექტო ტერიტორიის და ასევე საქმიანობისგან მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერას. მაგალითად, 4.8.5 თავში (ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება) არ არის წარმოდგენილი მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა, სახეების მიხედვით. მითითებულ თავში აღნიშნულია, რომ მოსალოდნელია შესამჩნევი ზემოქმედება დაბალი ღირებულების ჰაბიტატის მთლიანობაზე, თუმცა, არ არის აღწერილი რა სახის საქმიანობითაა მოსალოდნელი და რომელი ჰაბიტატის მთლიანობაზეა მოსალოდნელი ეს ზემოქმედება. აქვე ნათქვამია, რომ მოსალოდნელია ცხოველთა ნაკლებად ღირებული სახეობების დაღუპვა, ასევე ინვაზიური სახეობების გამოჩენაც. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დასაბუთებას, თუ რომელია ეს ნაკლებად ღირებული სახეობები და რის გამოა მათი დაღუპვა მოსალოდნელი. აგრეთვე, გაუგებარია, რა ზემოქმედების/ქმედების შედეგადაა მოსალოდნელი ინვაზიური სახეობების გამოჩენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავში მოცემული ინფორმაცია, საჭიროა ჩასწორდეს შესაბამისი აღწერისა და დასაბუთების საფუძველზე.

3) სკრინინგის განცხადების თანახმად, „საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხილული ისტორიულ–კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება“, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის მიხედვით, 21.03.33.278 და 21.03.33.742 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ანაზომით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი – „საწნახელი“ წარმოდგენილია დაახლოებით 250 მეტრი მანძილის დაშორებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას საპროექტო ობიექტიდან ძეგლის ვიზუალური თუ ფიზიკური დაცვის არეალის გათვალისწინებით – არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სრული აღნიშვნა, მათი მიმოხილვა და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენა, რათა სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ სრულყოფილად იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, კოდექსის მე-7 მუხლის 5[1] ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

დამატებით, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში, 2026 წლის 14 ივლისის №324 საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეტანილი იქნა რიგი ცვლილებები, რომლებიც, მათ შორის, ეხება მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ობიექტების განთავსებისთვის დადგენილ შეზღუდვებსა და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების პირობებს.

დანართი: სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს კორესპონდენცია.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10882-21-2-202607281739